საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>თამარ ონიანი</u>

ბიულეტენი

კენჭისყრა - 23.07.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად წარდგენილ იქნეს გენადი მაკარიძე?
დიახ არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
თამარ ონიანი

2021 წლის 23 ივლისი, თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 2 ნოემბრის №1/138 გადაწყვეტილებით დაწყებული პროცედურის ფარგლებში, 2021 წლის 23 ივლისს ჩატარებული ღია კენჭისყრის შედეგად მივიღე გადაწყვეტილება - საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარედგინოს გენადი მაკარიძე.

წარმოგიდგენთ აღნიშნული გადაწყვეტილების წერილობით დასაბუთებას „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად.

პატივისცემით,

თამარ ონიანი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
თამარ ონიანი

2021 წლის 23 ივლისი, თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად გენადი მაკარიძის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 2 ნოემბრის №1/138 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისადმი წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, რომელშიც სხვა კანდიდატებთან ერთად მონაწილეობა მიიღო გენადი მაკარიძემ.

კანდიდატების შესახებ მოპოვებული წერილობითი და საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით 2021 წლის 9 ივლისს შევაფასე პროცედურაში მონაწილე კანდიდატები, მათ შორის, გენადი მაკარიძე და მივიჩნიე, რომ სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მას 100 ქულიდან მივანიჭე 88 ქულა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის №1/136 განკარგულების თანახმად, აღნიშნული პროცედურის შემდეგ ეტაპზე გადავიდა 1 კანდიდატი - გენადი მაკარიძე.

2021 წლის 23 ივლისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა მითითებული კანდიდატის საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის საკითხის გადასაწყვეტად ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით.

კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმის გათვალისწინებით გენადი მაკარიძე არა მხოლოდ მე შევაფასე სრულად დადებითად და სხვა კანდიდატებთან შედარებით ყველაზე მაღალი ქულით, არამედ მან უმაღლესი შეფასებები მიიღო საბჭოს სხვა წევრებისგანაც. შედეგად, მივიჩნევ, რომ გენადი მაკარიძე სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რის გამოც მივიღე გადაწყვეტილება - წარედგინოს საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად.

თამარ ონიანი